ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 128

შაბათი, 19 ივნისი, 1899 წ.

1877—1899

№ 128

შაბათი, 19 ივნისი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიემართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ღირება **6** მან. **50** კაპ.

21 ივნისს ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის თავადის

## ნიკოლოზ სიმონის ძის აბაშიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. ქვრივი მეუღლე მისი კნეინა პუპი ალექსანდრეს ასული აბაშიძისა სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზედ დასასწრებლად. (2—87—2)

შაბათს, 19 ივნისს, სოფ. ლამის-ყანის წმ. გიორგის ეკკლესიაში და მეჯვრისხევის იკორთის ტაძარში გარდახდილი იქმნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი

## თავ. დავით ივანეს ძის ერისთავის

სულის მოსახსენებლად. შვილები განსვენებულისა თავ. ნიკოლოზ და ნინო დავითის ძე და ასული სთხოვენ ნაცნობებს მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზედ დასასწრებლად. (1—88—1)

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—14)

**«ივერიის» რედაქციისაგან.** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

კვირას, 20 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მეორედ საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა საალებმიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“.

კრება უსათუოდ შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა აირჩიოს თავმჯდომარე გამგეობისა, ვ. ალნიაშვილის ნაცვლად, რომელიც ამ თანამდებობას თავს ანებებს.

ამხანაგობის წევრთ არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (6—6.—5)

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—ѣ).

## მთავრობის განკარგულებანი.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან: ფოსტალიონები: ართვინის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა—პლატონ ჩინჩალაძე, დედოფლის წყაროს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა—სოლომონ ჩრდილელი, არდაგანისა—ზაქარია ნატროშვილი, გარაკლისისა—ქრისტეფორე სარიშვილი და ტფილისისა—კონსტანტინე საავამე (უკანასკნელი მასივე თხოვნის თანახმად).

დანიშნულ იქმნენ: მღვდლის შვილი პოპია და მირიან მირიანაშვილი—ფოსტა-ტელეგრაფის მე-6 ხარისხის მოხელეებად; შარკელი—ტფილისის ტელეფონის სადგურის შტატში, ხოლო მეორე—ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; აზნ. ლევან დუჩიძე, გიორგი გაბუნია, სერაპიონ ხოხიშვილი, ვასილ ბახტაძე, სებასტიანე შველიძე და ალექსანდრე კაკაბაძე—დაბალ ხარისხის ფოსტალიონებად: დუჩიძე—ტფილისისა, გაბუნია—ფოთისა და ხოხიაშვილი თეთრ-წყაროს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში, ბასტა მე—ხონის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, შველიძე—სიღნაღისა და კაკაბაძე ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში.

გადაყვანილ იქმნა ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ბერასიძე სირაძე ოზამჩირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

## ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ ქალაქის საბჭოს მიერ 1898 წ. 9—23 ნოემბერს მოწონებული ხელშეკრულება, რომელიც დადგენილ იქმნა ქალაქსა და ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებულს შორის ელექტრონის რკინის გზის გაყვანის შესახებ, გარეგანის მხრით შედგენილია კანონის მოთხოვნილების შეუსრულებლადაო; მაგალ., ამ ხელშეკრულობაში ჩართულია შემდეგი პირობები: ა) ვაგონების მოძრაობის დაწყებისა და შეწყვეტის დროჟამის შესახებ; ამ პირობების ჩართვა ხელ-შეკრულებაში არ შეიძლებოდა დაუმტკიცებლად, რადგან ეს პირობები შეეხება ცხენის რკინის გზის შენახვის წეს-რიგს, ხოლო ეს წეს-რიგი უნდა განსაზღვრულ იქმნას სავალდებულო დადგენილებათა შემწეობით, და ბ) ცხენის რკინის გზაზედ სამგზავრო ნიხრის შესახებ; ქალაქის საბჭოს დადგენილება ამ საგნის შესახებ უნდა წინ-

---

# ფელეტონი

—

### სამშობლო

**II. სამშობლოს განსაზღვრა.**

(დასასრული *)

სიტყვა Patrie (სამშობლო) ძველ ბერძნებისა და რომაელებისაგან მომდინარეობს და ამ ხალხებში იგი მშობელ ქალაქის, ხან-და-ხან პროვინციის ან მშობელ კუთხის გამომხატველი იყო. ეს სიტყვა ძველ მწერალთა ნაწერებში ხშირად მოიპოვება. ასევე ხშირად ჰხმარობდნენ მას ეკკლესიის მამანიც. სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ ფრანგულს ენაში ეგევე სიტყვა თვით ენის შედგენისათანავე შევიდა. უფრო ხშირად იხსენიება სიტყვა „სამშობლო“ აღორძინების ხანაში, თუმცა მაშინ ძალიან გავრცელებულიც არ იყო. მაშინდელ დროის შეხედულების თანახმად უფრო ხშირად ახსენებდნენ სახელმწიფოს, სამეფოს ან მეფის სამსახურს და არა სამშობლოს. პირველად რევოლიუციამ დასვა მონარხის ალაგას ერი და სიტყვებიც: „სამშობლო“ და „მამულიშვილი“ („პატრიოტი“) საზოგადო ხმარებაში შეიტანა. ამ სიტყვების საზოგადო სახმარებლად შემოღება სწორედ იმ დროს ეკუთვნის, რა დროსაც—ეროვნულ დედა-აზრის წარმოდგომა. ახალს დროში სამშობლოს სახელს ფართო მნიშვნელობა მიეცა, ასე რომ სახელწოდება „სამშობლო“ დღეს აღარ ეთანასწორება იმ სახელებს, რომლებიც ხშირად სამშობლოს სინონიმებად იხმარებიან.

აი, ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა „მხარე“ (Pays). ამ სიტყვას ხშირად ჰხმარობენ იმ კოლლექტიურ ინტერესთა აღსანიშნავად, რომლებსაც წარმოადგენს ერი. მაგრამ თუ უფრო ჩაუკვირდებით და ღრმად გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ სიტყვა მხარე უფრო მშობელს მიწას გამოჰხატავს. ტერრიტორიული ელემენტი სამშობლოს იდეის ერთს შემადგენელ ელემენტთაგანს წარმოადგენს; მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, იგი ერთად-ერთი ასეთი ელემენტი არაა.

აგრეთვე სიტყვაც „ხალხი“ სულ სხვა ელემენტს გამოსთქვამს. იგი გამოჰხატავს მცხოვრებლებს, თანამემამულეებს. იგი არც სამშობლოს და არც ერს არ ჰნიშნავს, არამედ სულ სხვა რამეს. თუ ერს დავუპირდაპირებთ, იგი აღნიშნავს ეტნოგრაფიულს კრებულს, რომელსაც ეროვნულ ორგანიზაციამდე კიდევ ვერ მიუღწევია. უფრო სხვა აზრით, როგორადაც ეს კონსტიტუციურ კანონებში გამოიხატება, ხალხი ჰნიშნავს პოლიტიკურ სხეულს, რომელიც საშინაო ურთი-ერთობათა უმაღლესი გამგებელია, სუვერენია. მე ვამბობ საშინაო ურთიერთობათა მეთქი, რადგან აქ არის ხალხის სუვერენობის ნამდვილი სფერო; როცა საქმე უცხოეთს შეეხება, იქ წინ დგება ეროვნული სუვერენობა.

და, მართლაც, ეს სახელები ერთმანერთისაგან გასარჩევია. „სახელმწიფოს მიმართ მოქალაქენი ხალხს შეადგენენ, ხოლო მთელის კაცობრიობის მიმართ — ერს, ნაციას“. ერი კრებულია ინდივიდთა და ოჯახთა, რომლებიც დაბადებით და სიმპატიით არიან ერთმანერთთან დაახლოვებულნი. ერს უნდა ვარჩევდეთ ხოლმე ხალხისაგან, მაგრამ ასევე უნდა ვარჩევდეთ მას სახელმწიფოსაგანაც, თუმცა დღესაც ერს და სახელმწიფოს ხშირად ერთმანერთში ურევენ. ერი არის ბუნებრივ მოყვარეობის (affinité) გამომხატველი, სახელმწიფო-კი პოლიტიკურს კავშირს ჰნიშნავს. სახელმწიფო იურიდიული არსებაა, კოლლექტიური სხეულია, რომელსაც ადგენს ერი თავისის დამოუკიდებლობის დასაცავად და თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთი სახელმწიფო, რომელიც ერის მიერ შედგენილია, რომ აქ მან სხვა-და-სხვა გვარი კმაყოფილება ჰპოვოს, იდეალური სახელმწიფოა და მაინც და მაინც ერისგან არ განსხვავდება, რადგან აქ ერთ სახელმწიფოს შეესაბამება. მაგრამ არის ისეთი სახელმწიფოებიც, როგორც, მაგალ., ავსტრო-უნგრეთი, რომლებიც მრავალ ერს შეიცავს; და, უკუქცევითაც: ერთი ერი, როგორც, მაგალითად, პოლონეთი, შეიძლება—მრავალ სახელმწიფოებში იყოს დანაწილებული.

ყველა იმ ცნებიდგან, რომლებიც ჩვენ ახლა მოვიხსენიეთ, არც ერთი სამშობლოს სინონიმად არ ჩაითვლება. სამშობლო არ ჰნიშნავს ყოველთვის მშობელს მიწას, ან თუ ჰნიშნავს,—უფრო ვულგარულის აზრისა და წარმოდგენის თანახმად, იმ წარმოდგენისა, რომელიც სამშობლოდ მხოლოდ იმ პაწაწინა ადგილს სთვლის, სადაც ადამიანი დაბადებულა. ნამდვილად-კი ხშირად მოხდება, რომ ადამიანს სხვა სამშობლო ჰქონდეს, სხვა მხარე მოეპოვებოდეს, ვიდრე ის მიწა-ადგილი, საცა მას პირველად დაუნახავს სინათლე. შეიძლება აგრეთვე, რომ ხალხი არსებობდეს, მაგრამ სამშობლო-კი არა ჰქონდეს. ასე სამშობლოს მოკლებულნი იყვნენ ებრაელები, როცა ისინი აღთქმულ ქვეყნისკენ მიემგზავრებოდნენ; ასევე ბოერებიც, როცა ისინი უდაბნოში შევიდნენ და თავისუფალს საცხოვრებელს ეძებდნენ. სახელმწიფოც არ შეადგენს მუდამ „ხალხის“ სინონიმს; შეიძლება სახელმწიფო ძალ-მომრეობაზედ იყოს აშენებული და გარეშე ხალხი ძალდატანებით ჰყავდეს დამორჩილებული.

რაც შეეხება ერს, აქ საგანი უფრო ძნელი გამოსარკვევია; ამ გამორკვევისთვის დიდი ჩაკვირვებაა საჭირო. ერთის შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვითომ სამშობლო და ერი სინონიმები იყოს. მართლაც, ეხლანდელს დროში სამშობლო ქალაქის ვიწრო ფარგლით აღარ განისაზღვრება. ჩვენ ეხლა სამშობლოს შესახებ ფართო აზრი გვაქვს;—სამშობლო ამ აზრის წარმოდგენის თანახმად მრავალ-რიცხვოვან ერთა კრებულს შეიცავს.

მაგრამ მაინც ერი და სამშობლო მხოლოდ ერთი და იგივე არ არის. მათ შორის პატარა განსხვავება მაინც მოიპოვება, „ნიუანსი“ მაინც არსებობს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სამშობლოს პირობას არ შეადგენს ერთი განსაზღვრული მხარე, რომელზედაც ერს თვისის სურვილის სახელმწიფო

*) იხ. „ივერია“ № 127.

და-წინვე დაემტკიცებინა გუბერნატორსაო.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, წარუდგინეთ, რაც შეიძლება საჩქაროდ, ქალაქის საბჭოს განსახილველად იმ კომისიის შუამდგომლობა, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის უზრუნველ ყოფა განზრახულ ელექტრონის რკინის გზის ცუდის გავლენისაგან, და რომელმაც სასურველად სცნო ობსერვატორიის გადატანა ქალაქს გარედაო. ეს შუამდგომლობა იმას შეიცავს, რომ რადგან ობსერვატორიის გადატანა შეუძლებელია ამ მოკლე ხანში, ამიტომ ელექტრონის გზის გაყვანის გადაწყვეტის შემდეგ მიეცეს ობსერვატორიას ერთი წლის ვადა მაინც სამაგნიტო დაკვირვებათა გასამართავად ქალაქს გარედ.

*** კავკასიის უმაღლეს მთავრობას ამ ჟამად გარდაცემული აქვს განსახილველად ტფილისის თავად-აზნაურობათა კრების დადგენილება ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ.

*** კახეთის რკინის გზის გამოკვლევის ზედამხედველობა, როგორც ისმის, მიენდობა ინჟენერს ტომაშევიჩს.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს ნება დაურთავს კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებისათვის გამართოს კახეთში ვენახის წამლობის კონკურსი და დაუნიშნავს მედლები მუშათა დასაჯილდოებლად, რომელნიც უკეთესად შეასრულებენ ამ სამუშაოს.

*** ამიერ-კავკასიის ზოგიერთს სასოფლო საზოგადოებათ უთხოვნიათ სათანადო მთავრობისათვის, რომ ჯარის ნივთების გადაზიდვის ბეგარის ნაცვლად ფული გამოერთოთ.

*** 17 ივნისს კავკასიის სამკურნეო საზოგადოების საბჭო შეუდგა ალექსანდრეს ბაღში სამკურნეო იარაღთა საწყობის გამართვას.

*** ამ დღეებში მრავალმა იმერელმა მუშამ გაიარა თურმე კავკავში, რომელნიც გამომგზავრებულან ყანებში სამუშაოდ ყუბანის ოლქსა და სტავროპოლის გუბერნიაში.

*** ქუთაისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექტორის წინადადების გამო, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, „ჩერნ. ვ.“-ის სიტყვით, ნება დაურთავს მომატებულ იქმნას სამოსწავლო გარდასახადი სამეგრელოს საქალაქო სასწავლებელში 20 მანეთიდგან 24 მანეთამდე წელიწადში თითოეულ მოსწავლისა.

*** ფინანსთა სამინისტროს გარდაუწყვეტია გადაკეთებულ იქმნას ბაქოს საზღვაოსნო კლასები საზღვაო სასწავლებლად სამის წლის კურსით. მიიღებიან მხოლოდ ნასწავლი მოსწავლენი.

*** გურია-სამეგრელოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ გადადებულ იქმნას ფული სამრევლო სკოლების შესანახად, სახელდობრ: მარტვილისა და სმეკალოვსკის სკოლების შესანახად—ას-ასი მან., ოზურგეთის მაზრაში ორის საქალებო სამრევლო ორ-კლასიან სკოლის გასამართავად და შესანახად—2,400 მან., და, გარდა ამისა, წიგნების საწყობის გასამართავად, საიდგანაც მუქთად უნდა მიეცეთ მოსწავლეთ და მასწავლებელთ სამოსწავლო ნივთები,—1,200 მან., და სასწავლებელთა საბჭოს კანცელარიისა და მის სამაზრო განყოფილებათა შესანახად—1,100 მან.

*** მთელის ქალაქის უძრავი ქონება დაფასებულია ამ ჟამად 65.094,585 მან. აქედგან დაფასების გადასახადისაგან განთავისუფლებულია 12,205 ქონება, რომელიც ეკუთვნის ხაზინას, ქალაქს, სასულიერო უწყებას და კერძო კაცთ, ღირებულებით 13,169,871 მან. დანარჩენს ქონებას, რომლის ღირებულება უდრის 57.924,714 მან., დაედვა დაფასების გადასახადი, მთელი ამ გადასახადის რაოდენობა უდრის 389,435 მან. წელიწადში და 77,821 მანეთით მეტია დღემდე არსებულ გადასახადთან შედარებით.

*** „კავკ.“-ს განჯიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ 18 ივნისს ბოქაულს ვორობიევს შეუპყრია კალანკენში ყაჩაღი ალესკერ-მეხტი-ოღლი, რომელმაც ამ 8 თვის წინად სხვა ექვს ყაჩაღთა დახმარებით მოჰკლა ეპისკოპოსოვი.

*** ეკატ. ფალიშვილისამ, რომელიც მარტყოფის ქუჩაზედ სცხოვრობს, და სოფიო გერმეშაშვილისამ, რომელიც ოლგას ქუჩაზედ სცხოვრობს, განუცხადეს პოლიცმეისტერს, რომ პირველის ვაჟი სედრაკი, 12 წლისა, და მეორის ძმა, დავით თერელაშვილი, 14 წლისა, ამ ხუთის დღის წინად გავიდნენ სახლიდგან და დღემდე აღარსად სჩანან. პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა პოლიციის ყველა ბოქაულებს ტფილისში, ზომები მიიღეთ დაკარგულ ყმაწვილთა მოსაძებნადაო.

*** 15 ივნისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგ. სკრასთან, ღამის 11 საათზედ, რკინის გზის ლიანდაგზედ ჰნახეს ფეხში ვილაცასაგან ტყვიით დაჭრილი რკინის გზის დარაჯი გლეხი გრიგოლ ხუციშვილი.

## ქალაქის საბჭო.

17 ივნისი.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გოლიცინმა არ დაამტკიცა ტფილისის ქალაქსა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის დადებული ხელშეკრულობა, მოწონებული ტფილისის საბჭოს მიერ 1898 წლის 9—23 ნოებერს, რომლითაც ხსენებულს საზოგადოებას იჯარით ეძლეოდა ტფილისში ელექტრონის რკინის გზის გამართვა და წარმოება. ამასთანავე თვითონ მთავარ-მართებელმა ბრძანება გაუგზავნა ქალაქის გამგეობას, რომ წინადადება შეიტანეთ ქალაქის საბჭოში, საყოველთაო განცხადებით გამოქვეყნებულ იქმნან ქალაქის რკინის გზის იჯარით აღების მსურველნი, რათა ამ რიგად მომეტებული სარგებელი მიეცეს ქალაქს მოიჯარადრეთაგანო.

ამ ბრძანების მიხედვით, ქალაქის გამგეობას შეედგინა და წარმოედგინა საბჭოს შემდეგი მოხსენება:

1) გამოწვეულ იქმნან კონცესიონერები. კონცესიონერმა უნდა აწარმოვოს ტფილისში არსებული ცხენის რკინის გზის ლიანდაგები, სიგრძით 21 ვერსტი, რომელთაც აწარმოებს ამ ჟამად ბელგიის უსახელო საზოგადოება.

2) არსებულ ლიანდაგების გარდა, კონცესიონერმა უნდა გაიყვანოს და აწარმოვოს შემდეგი ახალი ლიანდაგები: დიდუბისა, ავლაბრისა, ნავთლუღისა, ბაღისა, სოლოლაკისა, ვარდის უბნისა და შუა-ბაზრისა, და აგრეთვე განაგრძოს ორთაჭალის ლიანდაგი საგუბერნიო სატუსაღოს შენობამდე. ახალ ლიანდაგებს დაახლოვებით 15 ვერსტამდე ექნება სიგრძე. ამ ლიანდაგთაგან თუ რომელიმეს გაკეთება არ მოხერხდა, კონცესიონერი ვალდებულია სამაგიეროდ სხვა რომელიმე ლიანდაგი გაიყვანოს ქალაქის ნებართვით. დანარჩენ ლიანდაგების გაყვანა, ჩამოთვლილთა გარდა, ქალაქის ნებართვაზეა დამოკიდებული.

3) კონცესიონერი ვალდებულია არსებულ ლიანდაგებზედ ცხენების ნაცვლად ელექტრონის ძალა შემოიღოს და ამითვე ატაროს ვაგონები ახალს ლიანდაგებზედო.

4) იჯარის ვადის გასვლისთანავე გზა ყოველისავე თავისის კუთვნილებით უსასყიდლოთ უნდა გარდაეცეს ქალაქს საკუთრებად.

5) დანარჩენი პირობები, როგორც, მაგალითად: იჯარის ვადა (30 წელიწადი), რაოდენობა გარდასახადისა ქალაქის სასარგებლოდ, ბე, რომელიც უნდა წარმოადგინოს მოიჯარადრემ ხელშეკრულობის რიგიანად შესრულების სათავდებოდ, ვადის გასვლამდე ქალაქის მიერ გზის გამოსყიდვის პირობები, საგზაო გარდასახადი მგზავრთაგან და სხ., ჩამოთვლილი უნდა იყვეს განცხადებაში, რომელიც იჯარის მსურველმა დაბეჭდილ კონვერტით უნდა წარუდგინოს ტფილისის ქალაქის გამგეობას არა უგვიანეს 1899 წლის 2 ოქტომბრის დღის 12 საათისა.

განცხადება, რომლითაც გამოწვეულ იქმნებიან მოიჯარადრენი, უნდა დაიბეჭდოს შემდეგს გაზეთებში: ა) და რუსეთისაში „კავკასსა“, „ნოვ. ობოზრენიესა“, „ტიფ. ლისტოკსა,“ „მთავრობის უწყებასა“, „საფინანსო და სამრეწველო უწყებასა“, „ს.-პეტერბ. ვედომ.“, „ნოვ. ვრემ.“, „ნოვოსტ.“, „Journal de st-Petersbourg“-ს, „St. Petersburger Zeitung“-ს, „მოსკოვსკია ვედომოსტსა“ და „რუსკია ვედომოსტში“, ბ) საზღვარ-გარეთისაში: „Temps“-სა, Indèpendence Belge“-სა, „Berliner Tageblatt“-სა და „Neue freie Presse“-ში.

კრებაზედ რამდენიმე ხმოსანმა ლაპარაკი აღძრა, რომ რადგან ტფილისის რკინის გზები მოიჯარადრის ხელშია და, ადვილი შესაძლებელიც არის, იმან ნებით არ დაგვითმოსო, ამის გამო გვიძნელდება ახალ მოიჯარადრეს გარდავსცეთ ხსენებული გზებიო. ამიტომ ამ ხმოსნებმა ურჩიეს საბჭოს, ვიშუამდგომლოთო კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ ნება დართოს ქალაქს არსებული ლიანდაგები გამოისყიდოს ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან ახალ მოიჯარადრისთვის გარდასაცემად. ხანგრძლივის კამათის შემდეგ, საბჭომ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება და მასვე დაავალა ეხლავე გამოიწვიოს გაზეთების საშუალებით მოიჯარადრენი; აგრეთვე დაადგინა, სთხოვოს კავკასიის მთავარ-მართე-

დაუარსებია. ასეთის მნიშვნელობის თანახმად ყველა ეს ცნებანი: მხარე, ერი და სახელმწიფო ნაწილებია იმ რთულის საგნისა, რომელსაც ჩვენ სამშობლოს ვუწოდებთ.

მაგრამ ეს ცნებანი სამშობლოს იდეას სავსებით მაინც ვერ გამოჰხატავს. ერს აქვს თვისი ეროვნული ხასიათი erga omnes, და ეს როგორც უცხოელებისთვის, ისე თავისიანებისათვის. ხოლო როცა ერთს ერს უცხო ერს დავუპირდაპირებთ, —აი, მაშინ გვეჩვენება ის ვითარცა სამშობლო მისის წევრებისათვის.

ამ წევრებისთვის ის ერთს ოჯახს შეადგენს, ის არის დედა, ხოლო წევრები მისი შვილები არიან. და ეს მხოლოდ სიტყვა როდია. აქ იბადება ისეთივე მოვალეობა, პატივისცემა და სიყვარული, როგორც შვილებსა და მშობლებს შუა. სამშობლო უდებს გულში თვისს შვილს ისეთს გრძნობას, რომელსაც რაღაც სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს. მამულიშვილობა მაშინ ცხადდება დიდის ძლიერებით, როცა მხარეს მტრები ახვევიან და განსაცდელს უპირებენ. ეს გარემოება ანთებს ცეცხლივით სამშობლოს შვილთა გულს და იწვევს მსხვერპლის გასაწევად. ამ დროს აცხადებენ, რომ სამშობლო განსაცდელშიაო, და ეს იმას ჰნიშნავს, რომ ყოველი შვილი ვალდებულია გამოცხადდეს, მტერს შეებრძოლოს და, თუ საჭირო იქნება, თავიც შესწიროს სამშობლოსათვის. მაგრამ მამულიშვილობა მხოლოდ ასეთის კრიზისებისაგან როდია დამოკიდებული. მას ყოველ დღე ეძლევა თვის მოვალეობათა აღსრულების შემთხვევა. მამულიშვილობას ცხოვრების ყოველს მოქმედებაში უნდა ჰქონდეს ალაგი, ვითარცა დედა-აზრს სიყვარულისა და მოვალეობისას.

კიდევ ერთი სხვა ნიშნობლივი თვისება აქვს იმ ცნებას, რომელსაც ჩვენ აქ ვიკვლევთ. სამშობლოს არსებობა ჰნიშნავს აგრეთვე ერთის განსხვავებულ ოჯახის, განსხვავებულ საზოგადოებრივ პიროვნების არსებობას, რომელსაც თავისი საკუთარი მისწრაფებანი და ინტერესები აქვს; ის ჰნიშნავს, რომ სამშობლოს გარშემო სხვა ოჯახები არსებობს, რომლებსაც თვისს მხრივ განსხვავებული მისწრაფებანი აქვთ. წარმოვიდგინოთ, რომ ერთს დღეს განხორციელდა ცოტად თუ ბევრად სასურველი ოცნება და მთელმა კაცობრიობამ ერთად ერთი სახელმწიფო შეადგინა და ერთს სახელმწიფოში ცხოვრება არჩია. ასეთს შემთხვევაში ერები მაინც დარჩებოდნენ ცოცხლად, ვითარცა ეტნიკური ელემენტები, მაგრამ სამშობლო კი ნამდვილად აღარ იქმნებოდა. სამშობლო არის საშუალო კატეგორია ოჯახსა და კაცობრიობას შორის. ის გაჰქრება, თუ ყველა ერი ერთს ფართო უნივერსალიურ სახელმწიფოს კალაპოტში მოათავსა.

მხარე, ერი, სახელმწიფო, სხვებისგან განცალკევებული და მოქალაქეთათვის წყარო სიყვარულის და მოვალეობათა,—აი, რა შეადგენს სამშობლოს იდეის მთავარს ნიშანს.

აქ ჩვენ მიუახლოვდით იმ დედააზრს, რომელსაც ვიკვლევთ. უკვე ვხედავთ, რომ სამშობლოს განსაზღვრას საზოგადოებრივი ფსიხოლოგია გვაძლევს.

მართლაც, სამშობლოს არსებობა თხოულობს ცნობიერების, ნებისა და მისწრაფებათა ერთობას; იმ ზნეობრივს პიროვნებას, რომელსაც სამშობლო წარმოადგენს, ესაჭიროება ერთნაირი შეგნება საზოგადო ცხოვრებისა, თანხმობა თანამემამულეთა და საერთო იდეალისთვის გულ მოდგინეობა. სალუსტი ამბობს ერთს ადგილას: Eadem velle, eadem nolle, id demum firma amicitia est, ე. ი. ერთისა და იმავე საგნების ნდომა და ერთისა და იმავე საგნების არ ნდომა მტკიცე მეგობრობას შეადგენსო. და ეს განსაზღვრა ჩვენის საგნისთვისაც გამოდგება. სიყვარულისა და სიძულილის ჰარმონია, ერთაირად ცხოვრება და საზოგადოებრივის ცხოვრების ერთნაირად შეგნება, ერთისა და იმავე აზრისათვის მუშაობა,—აი, რა შეადგენს იმ ნასკვს, რომელიც თითოეულის სახლის ყველა ძალთა და მოდგმათა ერთი ერთმანეთზედ გადაბმულია. მართალია, ხშირად საგანი ყველა მემამულეს ერთნაირი არ ექმნება, ხშირად მათ შორის უთანხმოება იქნება ისეთი ძირითად კითხვების შესახებაც, როგორც არის სარწმუნოება და მართვა-გამგეობის წეს-რიგი; მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რომ თანამემამულეთ ერთ-ნაირი აზრები, მისწრაფებანი და იმედები ჰქონდეთ რამდენისამე ძირითად საგნის შესახებ და ეს მსგავსება იმდენად ძლიერი იყოს, რომ ამის გამო ისინი თვისიანებში შეერთებულად და უწხოებისაგან განსხვავებულ ერად რჩებოდნენ.

სამშობლოს იდეა თვით თავისუფლების შეგნებისაგან წარმოსდგება. ადამიანთ აქვთ მოთხოვნილება, თავისის სურვილის თანახმად იცხოვრონ, თავიანთ ზნე-ჩვეულების და ტემპერამენტის შესაფერად იმოქმედონ. და, აი, სამშობლოს იდეაც ამ მოთხოვნილებას გამოჰხატავს და თვალ საჩინოდ ჰყოფს. იგი შეესაბამება იმ გაუქრობელს ალღოს, რომელიც ადამიანებს აერთებს, აკავშირებს და მათთვის საყვარელ საგნებისთვის მოქმედებას აწყებინებს. ხალხნი როცა დამოუკიდებელ ერებად დანაწილდნენ, იმავე მისწრაფებას ემორჩილებოდნენ, რა მისწრაფებასაც ემორჩილებიან ისინი, რომლებიც ქორწინდებიან და ოჯახს იარსებენ. სამშობლო კაცობრიობაში იგივეა, რაც კერა—ოჯახში, ე. ი. თავისუფლების თავ-შესაფარი, ცენტრი ორიგინალ მოქმედებისა, სავანე წმიდა სიყვარულისა.

ასეთის საზომით სავსებით ირკვევა და იხსნება სამშობლოს იდეა. ყველგან, სადაც სამშობლოს ვამჩნევთ, არსებობს ამხანაგობა ადამიანთა, რომლებსაც, ბევრ ინდივიდუალურ და პროვინციალურ თვისებურობასთან ერთად, აქვთ საერთო აზრი, ნება და სიმპატია. მამულიშვილობის არსებითი ღვრიტაკ თანხმობა და სიყვარულია.

სამშობლო წევრებს ერთმანეთის მსგავსი ნიშნები ეტყობათ, რომლებითაც ისინი უცხო-ქვეყნებისაგან განსხვავდებიან; ეს ნიშნები შეადგენს მათს თვისებურ სახეს. და, აი, ეს სახეა ის, რასაც ეროვნულს ხასიათს ეძახიან. ვიკითხოთ: სად მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელს, ნება დართოს ქალაქს განაგ-რძოს საბჭოს დადგენილების სისრუ-ლეში მოყვანა ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ ახალ მოიჯა-რადრისათვის გარდასაცემად.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. კარდენახი**, (სიღნაღის მა-ზრა). 28 მაისს აქ მოხდა სამრევლო-საქალებო სკოლის მოსწავლეთა გამო-ცდა, რომელსაც დაესწრნენ ადგილობ-რივი სამღვდელოება, სამასტიო კაცნი და მოსწავლეთა მშობლები.

სკოლა წრეულს ორის განყოფილები-საგან შესდგებოდა. რამდენიმე მოსწავ-ლე ქალი, მასწავლებლის სიტყვით, ავადმყოფობისა გამო ვერ დაესწრო გა-მოცდას; ხოლო ამ დღეს სკოლაში მოსულ 39 მოსწავლე ქალთა შორის 28 იყო პირველს განყოფილებაში და დანარჩენი 11—მეორეში.

პირველს განყოფილებაში ქართული-დგან ესწავლათ „დედა-ენის" 69 გვერ-დამდის, ყველა არითმეტიკული მოქმე-დება ათ რიცხვამდე, პირველ დაწყებითი ლოცვები და რამდენიმე მოთხრობა ძვე-ლისა და ახალის აღთქმის საღმრთო ისტორიიდგან. მეორე განყოფილების მოსწავლეთ ქართულიდგან ესწავლათ მთელი „დედა-ენა" თავისის სავარჯი-შოებით და სასაუბროებით, ლექსები „ბუნების კარიდგან", რუსული წერა-კითხვა და რამდენიმე ლექსი ზეპირად, ქართულად გადმოთარგმნით, ყველა არი-თმეტიკული მოქმედება 40 რიცხვამდე, პირველ დაწყებითი ლოცვები რუსულა-და და ქართულად და ძველისა და ახა-ლის აღთქმის საღმრთო ისტორიის მოთხრობები ქართულად. აქ, ჩვენდა სასიამოვნოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ორსავე განყოფილების მოსწავლეთ ყვე-ლაფერი შეგნებით ესწავლათ და თით-ქმის ყველანი კითხვებზედ გარკვეულ პასუხს იძლეოდნენ. განსაკუთრებით კარგად იყო მომზადებული მეორე გან-ყოფილება. აშკარად ეტყობოდა, რომ მასწავლებელთ ამ განყოფილებისათვის მიექციათ განსაკუთრებული ყურადღება. ორივე განყოფილების მოსწავლეთ მშვე-ნივრად და მწყობრად ოთხ ხმაზედ სთქვეს მღ. ბენაშვილის ხელმძღვანე-ლობით რამდენიმე საეკკლესიო და საე-რო საგალობელი. დამსწრე ხალხი, ნა-მეტნავად მშობლები, ნასიამოვნები და-რჩნენ მოსწავლეთა გამოცდით, რადგან დარწმუნდნენ, რომ მათ შვილებს სკო-ლაში იმაზედ მეტი ცოდნა შეეძინათ, რაც მათ სკოლაში მცირე ხნის განმა-ვლობაში ყოფნის დროს შეეფერებოდა. გამოცდის შემდეგ ერთმა მოსწავლე ქა-ლმა დაახლოებით შემდეგი წაიკითხა: „მშობელნი, მოსწავლენი და მასწავლე-ბელი, ნიშნად მამობრივისა და სწავლა-განათლების მზრუნველობისა, წრფე-ლის გულით გიძღვნით მცირე საჩუ-ქარს. თქვენი სახელი ჩვენის გულის ფიცარზედ დიდის ასოებით აღბეჭდი-ლია. იყოს თქვენი დღენი მრავალ ჟა-მიერ" და მიართვა სკოლის მზრუნველს მღ. მ. ბენაშვილს ერთი წყვილი ვერ-ცხლის სასისმო.

ხსენებული საქალებო სკოლა დაარ-სებულია 189⁸/₉ სამოსწავლო წლის დასაწყისში ადგილობრივის მღვდის მ. ბენაშვილის მეცადინეობით, რომელსაც, როგორც გამოცდამ დაამტკიცა, გულ-მოდგინედ უშრომნია, სწავლების საქმე ჯეროვანად წარუმართავს და დაუმსახუ-რებია კეთილ მოღვაწის სახელი და ად-გილობრივის საზოგადოების პატივის-ცემა. ღირსია მადლობისა მღ. ბენაშვი-ლი, მით უმეტეს, რომ უსასყიდლოდ ასწავლის ამ სკოლაში. ღირსია მად-ლობისა აგრეთვე ამ სკოლის ახლად დანიშნული მასწავლებელი ქ-ნი ელიო-ზიშვილი, რომელსაც, საგნების ბეჯი-თად სწავლების გარდა, სამის თვის განმავლობაში მოსწავლე ქალთათვის შე-უსწავლებია მშვენიერი ხელსაქმე. მად-ლობის ღირსია აგრეთვე ადგილობრი-ვი დიაკვანი მაქსიმე კახიძე, რომელსაც მთელის წლის განმავლობაში სკოლის-თვის უსასყიდლოდ დაუთმია ოთახი თავისს სადგომ შენობაში. ღმერთმა ჰქმნას ამ კეთილ მოღვაწეთ გაევრცელ-ბინოთ თავიანთი შრომა და დაემტკი-ცებინოთ საზოგადოებისათვის, რომ სოფლის პატარა სკოლასაც შეუძლიან ნაყოფის გამოღება.

ლ. მ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Нов. Врем."-ში დაბეჭდი-ლია პარიჟიდგან გამოგზავნილი სა-ყურადღებო კორესპონდენცია. კო-რესპონდენტი ამბობს,—საფრანგეთში

„დიდი ხანია ყველას შეგნებული აქვს, რომ სწავლა საჭიროა. აქ ყვე-ლა სწავლობს. რომელ გლეხსაც უნ-და ჰკითხოთ: „სად გყავს შვილი?" —უეჭველად მოგიგებთ: „კოლეჟში ან ლიცეუმშიო". უკანასკნელი ღარიბი დღე-ღამე ოფლში იწურება, თითონ იკლებს ლუკმა პურს და შვილს კი ჰზრდის რომელსამე სასწავლებელში. „არა, არ მინდა, გეტყვით ასეთი ღარიბი, ჩემმა შვილმაც მთელ თავისს სიცოცხლეს იწვალოს. ეს ხელობა მამაჩემს, ბებიას, დედამ ჩამიაბარა; ...

„არა, არ მინდა, გეტყვით ასეთი ღარიბი, ჩემმა შვილმაც მთელ თავისს სიცოცხლეს იწვალოს. ეს ხელობა მმიმეა, აუტანელი. დეე, ისწავლოს, მიიღოს „დიპლომი" და monsieur ი გახდეს, მაშინ უფრო უზრუნველად იც-ხოვრებს". და 11—12 წლის განმა-ვლობაში ყოველს საშუალებას ხმა-რობს, იმისმა შვილმა ის დაწესებუ-ლება გაათავოს, საიდგანაც მანუგე-შებელ დიპლომის მიღება შეიძლება. თუ სრულიად არაფერი გასჩნია და ბავშვი-კი ნიჭიერია, მაშინ დახმარე-ბას შესიცოპალიტეტი, სახელმწიფო ან კერძო ქველმოქმედი უწევს.

„ასეთის აზრისა და მეცადინეო-ბის წყალობით ყოველ წლიწადს აუარებელი ახალგაზდა კაცი ათავებს სწავლას, რომელნიც მშვენიერ ქა-ღალდზედ და მშვენივრად დაბეჭდილ „დიპლომით" გამოწყობილნი პირ-ველ დღიდგანვე გაფაციცებით დაე-ძებენ ადგილს. მაგრამ ადგილები ყველგან დაჭერილია. ყველა სახელ-მწიფო თანამდებობაზედ არის, ორა-სი და სამასი მეტოქეა. ვექილი, ინ-ჟენერი, მკურნალი, საბანკო მოხე-ლე, მექანიკოსი, ქიმიკოსი, მხატ-ვარი, ჟურნალისტი, მასწავლებელი ასჯერ და ორასჯერ იმაზედ მეტია, რაც ნამდვილად საჭიროა. მეტოქეო-ბამ სალიბერალო პროფესიის ფასე-ბი უკანასკნელ ხარისხამდე დასცა. გაცილებით უფრო მეტი შემოსავა-ლი აქვს ქვის-მთლელს, კალატოზს, ზეინკალს, ასოთ-ამწყობს, ვიდრე „სწავლულ" ქიმიკოსს, მხატვარს, ინჟენერს, რომელსაც პრაქტიკა არა აქვს, მკურნალს, რომელსაც შე-ძლება არა აქვს მოსაწყობად და მე-შტრის მისაზიდავად და სხ.

„ასეთი მდგომარეობა „დიპლო-მიან" ემაწვილ კაცებისა, რომელნიც ადგილის ძებნაში განუწყვეტლივ ქუ-ჩებსა სთელავენ, მეტად სამწუხარო და დამაფიქრებელი რამ არის. მკი-თხველს გაუკვირდება, მაგრამ ნამ-დვილად ძალიან ხშირია ისეთი მა-გალითი, როდესაც უმაღლესს სას-წავლებელში სწავლა დამთავრებული უადგილობით და არა ლოთობით შიმშილისაგან კვდება წუთი სო-ფელს. სხვა-და-სხვა დუქნების და მიყრუებულ ადგილების გაჩხრეკის დროს პოლიცია არა ერთხელ და ორჯელ წააწყდება ხოლმე დაგლე-ჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში გა-მოწყობილს, მშიერ-მწყურვალს „ბა-კალავრს", ან „კანდიდატს" უნივერ-სიტეტისას. ამ გარემოებამ საფრან-გეთი ძალიან დააფიქრა. ათას საშუ-ალებას იგონებენ „განათლებულ პროლეტარიის" ზედის მოსაწყობად და გასაუმჯობესებლად".

# რუსეთი

სამკურნალო დეპარტამენტმა გან-მარტა, რომ იმ ქალთ, რომელნიც ფარმაციას სწავლობენ, თუ გიმნა-ზია დამთავრებული აქვთ და ლათი-ნურის ენის ეგზამენი გარდაუხდიათ, შეუძლიანთ პროვიზორის თანაშემ-წის წოდების მისაღებად ეგზამენები გარდაიხადონ ორის წლის აფთიაქში მუშაობის შემდეგ.

— მიწად მოქმედების სამინისტ-რომ დაამტკიცა წესები შინად-მრე-წველთათვის სახაზინო ქარხნებიდგან ლითონებისა და ნაწარმოების მოპო-ვების შესახებ.

— უწმ. სინოდმა განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ეპარქიის ად-გილობრივს საეპარქიო უწყებებში ყოველ სამოსწავლო წლის დამდეგს იბეჭდებოდეს ეპარქიის სასულიერო სასწავლებელთა მოსამსახურე კაცე-ბის სია, მოკლე საბიოგრაფიო ცნო-ბებით თითოეულ მათგანის შესახებ. ასეთი სიები უნდა გაუგზავნოს ხო-ლმე უწმ. სინოდის სამოსწავლო კომიტეტში.

— ს.-პეტერბურგის ქალაქის საბ-ჭოს განზრახვა აქვს 100,000 მან. შესწიროს დამშეულთა სასარგებ-ლოდ.

— მიწად მოქმედების სამინისტ-როს განზრახვა ჰქონია გაგზავნოს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ სხვა და სხვა ჯიშის თამბაქო.

— სამოსწავლო წლის დაწყებისა-თანავე სასულიერო აკადემიებსა, სე-მინარიებსა და სასწავლებლებში შე-ტანილ იქმნება უწმ. სინოდის მიერ დამტკიცებული წესები სასულიერო სემინარიების ყველა მოსწავლეთა-თვის. ამ წესებით განზრახულია და-არსდეს საზოგადო ბინა, ზოგიერ-თის სღვთისმეტყველო საგნებისა და კერძოდ, საღმრთო წერილის გაკვე-თილების რიცხვი მომატებულ იქმ-ნება, ხოლო ძველის ენების გაკვე-თილები, პირ-იქით, შემცირდება. მოსწავლეთა გადასასვლელად სასუ-ლიერო სასწავლებლიდგან სემინარი-ებში ხელმეორედ შემოღებულ იქმ-ნება გამოცდა სემინარიებში. სასუ-ლიერო სასწავლებლებში დაწესდება მოკლე საზოგადო და საეკკლესიო ისტორიის სწავლება. ს.-პეტერბურ-გის სასულიერო აკადემიაში ასწავ-ლიან მათემატიკას სასულიერო სე-მინარიებისათვის მათემატიკის მასწა-ვლებელთა მოსამზადებლად.

---

პოვება ეს ხასიათი, როგორ წარმო-სდგება და შეინახება, როგორ გარ-დიქმნება იგი? ეს კითხვა სამშობ-ლოს განსაზღვრასთან არის შეკავ-შირებული: რადგან ხალხთ სხვა და სხვა ტემპერამენტი აქვთ, ამიტომ ჰგრძნობენ ისინი საკუთარის ბინის დაარსებისა და საკუთარის სურვი-ლის თანხმად ცხოვრების მოწყო-ბის მოთხოვნილებას.

წვრილმან განსხვავებათა, მიუხე-დავად ყოველ სამშობლოს წევრთ, ერთს განსაზღვრულ ხანაში, ნათესა-ობრივი სახე აქვთ, მათ ერთნაირი ღირსებანი და ნაკლულევანებანი, ერთნაირი გულის თქმანი და მოვ-ლენათა განსჯის, და გრძნობის ერთ-ნაირობა ემჩნევათ. რასაკვირველია აქ წინააღმდეგი შემთხვევაც არის ხოლმე. მაგრამ ინდივიდუალური განსხვავება და პროვინციალური თვისებურობა სამშობლოში ხელს არ უშლის მაინც საერთო ტიპის არსებობას. თვით უცხო ერებს შო-რისაც მოიპოვება ბევრი მსგავსი თვისება. მაგალითად, თუ აზრს ზო-გადად გამოვთქვამთ, ევროპის სახე-ლმწიფოებს შორის ყოველთვის ყო-ფილა მსგავსება და დიდი მსგავსე-ბაც. მაგრამ ამისდა მიუხედავად, მა-თი ერთმანერთში შერევა შეუძლე-ბელია. ცოტა ოდნად გამომრჩევე-ლი თვალი ერთის შეხედვითვე გა-მოიცნობს აქ სხვა-და-სხვა ერს.

როგორ შესდგა ეროვნული ხასი-ათი? ამის შესაგნებად უნდა გავითვა-ლისწინოთ ყველა ის გარემოება, რომლებიც წინა თავში მოვიხ-სენიეთ. განსაკუთრებით უნდა აღ-ვნიშნოთ აქ ჰავა, ცხოვრების პი-რობები, პოლიტიკური და საზოგა-დოებრივი წეს-წყობილება და სარწ-მუნოებრივი დაწესებულებანი. ნიაპო-ლიტანელები, რომლებიც ცოტა რა-მეთი კმაყოფილდებიან და თითქოს მარტო ბრწყინვალე მზის სხივებით სცხოვრობენ, არ ემგვანებიან ჩრდი-ლოეთის ხალხებს, რომლებიც სას-ტიკს ჰავას უნდა ებრძოლონ, მეტი სჭამონ, უფრო თბილად უნდა ჩაიც-ვან, დაიხურონ და, მაშასადამე, მეტიც უნდა იმუშაონ. დემოკრატიული სა-ხელმწიფო არ იქნება ფეოდალურ სახელმწიფოს მსგავსი, პროტესტან-ტი ერი—თეოკრატიულ ერის მსგავ-სი. ისტორიულად გამოცდილს გა-ჭირვებასაც აქვს გავლენა ერის ინ-დივიდუალობის განვითარებაზედ. ყვე-ლა ამ გარეგან მიზეზს ერთი უფრო შინაგანი და იდუმალის ხასიათის მი-ზეზიც უნდა მივუმატოთ. სახეში გვაქვს რასსის გავლენა, ის თავისე-ბური ძალა, რომელიც შთამომავ-ლობიდგან შთამომავლობას გარდაე-ცემა ხოლმე. რასსიულ თვისებათა შთამომავლობით გარდაცემაში ზო-გიერთებმა ნამეტნავად ფართო ალა-გი დაუთმეს წაბაძულობის ალღოს. ამტკიცებენ, რომ ერის ასეთი თუ ისეთი ხასიათი დიდ-ბუნებოვან ადა-მიანების ზე-გავლენით წარმოსდგა და შემდეგ წაბაძულობით მთელს ხალხში გავრცელდაო. რასაკვირვე-ლია, არ შეიძლება უარ-ყოფა დიდ-ბუნებოვან ადამიანთა გავლენისა მათს თანამედროვეებზედ; უნდა ვი-ფიქროთ, ადამიანთ ჯგუფია წინამ-ძღოლების ჩვეულებას და შეხედუ-ლებათ მთელი კლანი *) ითვი-სებდა და შემდეგ ისინიც, ვინც ამ კლანს ეშვილებოდნენ. მაგრამ წინამძღოლთა ხსენებული ზნე ჩვეუ-ლება წარმოსდგა უმთავრესად იმ მიზეზების გავლენით, რომლებიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, და შემდეგ იმავე მიზეზების წყალობით გავრცე-ლდა კიდეც.

რაკი ერთხელ ხასიათი შექმნილ იქნა, შემდეგში მუდამ იმავე მიზეზთა გავლენით გარდაეცა შთამომავლო-ბიდგან შთამომავლობას. ამ ბუნებრივად გარდაცემულის განმტკიცებას ხელი შეუწყო აგრეთვე ესრედ წოდებულ-მა ატავიზმმა და იმ ხელოვნურმა კულტურამ, რომელსაც აღზრდა წარმოადგენს.

მაგრამ ეროვნული ხასიათი არა თუ გადადის მხოლოდ მოდგმიდგან მოდგმაზედ შთამომავლობით, არამედ იცვლება კიდეც. როცა იმ გარემო-ებათა შორის, რომლებშიაც ხალხის ხასიათი ჩამოისხა და ასეთი თუ ისე-თი ელფერი მიეცა, ცვლილება ხდე-ბა, ეს თვით ხასიათზედაც ჰმოქმე-დობს აუცილებლად. როცა ინგლი-სის ხალხმა პროტესტანტობა მიიღო, მისს სახეს ერთი ახალი ნიშანი მიე-მატა. ამას კიდევ მეორე ახალი ნი-შანი დაერთო, როცა ამ ხალხის უმ-თავრესი საქმე ზღვაოსნობა, ახალ-შენები და საქონლის გაზიდვა გახდა. აგრეთვე პოლიტიკურ და სოცია-ლურ გარემოებათა ძირითადი ცვლილება, როგორც ეს საფრან-გეთის რევოლიუციამ მოიმოქმე-და, ისე ვერ შესრულდება, რომ მან ხალხის ხასიათში ღრმა ცვლილება მოახდინოს. დღევანდელი ფრანგი დიდად განირჩევა 1789 წ. ფრანგისაგან. სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ მე-XX საუკუნის დასასრულის ფრანგიც შესამჩნევად განსხვავებული იქნება დღევანდელისაგან, რადგან ის დემოკრატიული, ეკონომიური და მე-ცნიერული ცვლილება, რომელიც დღეს ჩვენს თვალთ წინ ხდება, თა-ვისს შედეგს წარმოშობს,

ხალხის ხასიათის გარდაქმნას ხელს უწყობს აგრეთვე ერთი სხვა კანო-ნიც, რომელსაც ჩვენ სიახლის (in-novation) ალღოს ვუწოდებთ. ხალ-ხებს, როგორადაც ინდივიდუუმებს, ორგვარი მისწრაფება აქვთ: ერთი ის, რომ ერთმანერთს მიჰბაძონ და ახალ-შემოღებულობა ერთმანერთისგან მი-იღონ, და მეორეც,—რომ ახალი რა-მეების აღმოჩენა ეძიონ.

ამ წაბაძულობით და სიახლის ძე-ბნით საუკუნოების განმავლობაში ეროვნული ხასიათი ვითარდება და იცვლება; მაგრამ მისი არსებითი სა-ფუძველი მაინც შეურყეველი და შეუცვლელი რჩება. რაც უნდა გა-მოცვლილი იყოს ეხლანდელი ინგ-ლისელი, მაინც უპოვით ისეთ ნიშ-ნებს, რომლებიც იმისს ძველის-ძველ წინაპარს ჰქონია.

სავა-და-სხვა ვითარება და საუკუ-ნოები ჰმოქმედებს ეროვნულ ხასია-თზედ, მაგრამ-კი არა ჰშლის; ესენი მისს განსხვავებულ ნიშნებს თითქმის არც-კი სცვლის შესამჩნევად; ხშირად ასეთ განსხვავებულ ნიშნებს ჰმატებს კიდეც. ამ განსხვავებულობის, ამ თავისებურობის გაუქრობლობაა ერის სიცოცხლის და მხნეობის მაჩვენებელი.

ფ. პატრიშვილი

*) კლანი კელტიურად ოჯახს ჰნიშნავს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ვალდეკ-რუსსოს კაბინეტში 7 მინისტრი დეპუტატთა პალატის წევრია, რომელთაგან სამი ზომიერი რესპუბლიკელია, ორი რადიკალი და ერიც სოციალისტი—მილიერანი და ბოდენი, და სამი სენატორი, რომელთაგან ვალდეკ-რუსსო რესპუბლიკელთა კავშირის წევრია, მონისი მემარცხენე დემოკრატთა დასს ეკუთვნის და დიუპუი—მემარცხენე რესპუბლიკელთა დასს. სამხედრო მინისტრი, გენერალი გალიფე, არც ერთს დასს არ ეკუთვნის. გალიფე 69 წლის კაცია და სამსახურიდგან გადამდგარი იყო ეხლა. გალიფემ თავი ისახელა 1870 წელში, საფრანგეთისა და პრუსიის შორის ომის დროს. მართალია, ის ტყვეთ ჩაუვარდა ხელში მტერს, მაგრამ იქაც დიდს პატივსა სცემდნენ, როგორც სახელოვანს მეომარს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ის გამბეტას მეგობარი შეიქმნა, რომელთან ვალდეკ-რუსსოსაც დაუახლოვდა. ის აშკარად მიემხრო რესპუბლიკას. გალიფემ სასტიკი ღონისძიებანი მიიღო პარიჟის კომუნის წინააღმდეგ, მოსპო ამბოხება ალჟირში და დიდს მონაწილეობას იღებდა ცხენოსან ჯარის საუკეთესოდ გაწვრთნის საქმეში. ცნობილი გენერალი ბულანჟე სამამს მეტოქეს ჰხედავდა გალიფეში, და, თავისს მინისტრად ყოფნის დროს, სათადარიგო ჯარში ჩარიცხა იგი. მაგრამ 1889 წელს გალიფე მიწვეულ იქმნა მთავრობის მიერ ცხენოსან ჯარის გენერალ-ინსპექტორის თანამდებობაზე და სამხედრო საბჭოს წევრად.

ბევრს ძლიერ უკვირს, რომ ერთსა და იმავე კაბინეტში გენერალი გალიფეც არის, რომელმაც ისეთი დღე დააყენა პარიჟის კომუნარებს, და სოციალისტი მილიერანიც. ამის გამო აი რა უთქვამს მილიერანს: ჩვენ, სოციალისტები, დროებით დავუკავშირდით ყველა რესპუბლიკელს, რათა გებრძოლოთ რესპუბლიკის მტრებს და წესიერება დავამყაროთ როგორც ჯარში, ისე სხვაგანაც. გალიფეს უთქვამს: მე მესაყვედურებიან ჩემის საქციელისათვის კომუნის დროსო. მაშინ მე ვემსახურე ბოდა ქვეყნის უმეტესობას, კონსტიტუციას და კანონებსო. როცა მე სამსახურში ვიყავი, ხმას არ ვიღებდიო. მე ვხედავ, რომ ჯარი ეხლა ერთობ ბევრს ლაპარაკობს, და, როგორც 30 წლის წინად, ეხლაც უნდა ვემსახურო უმრავლესობას, კონსტიტუციას და კანონებსო.

# დამავიწყდა

ჭკუიანს ნაღველი არ მართებს,
სოფელი რა მუხთალია.

რუსტომიანი

* * *

რომელნი ცრემლით სთესვიდენ, მათ სიხარულით მოიმკონ.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი

* * *

გონიერისა კაცისათვის უმჯობეს არს სიკვდილი პატიოსანი სიცოცხლესა სირცხვილეულსა.

ალექსანდრე მაკედონელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად პარიჟში, ვაჭრობის სამინისტროში, მინისტრის, ფოსტათა და ტელეგრაფთა უფროსის და მრავალის ხალხის თანადასწრებით, გამოსცადეს პიერ ჟერმენის მიერ გამოგონილი ახალი სატელეფონო მანქანა. გარეგნობით ახალი მანქანა ძველისაგან ბევრით არაფრით განირჩევა, მაგრამ ამ ახალის მანქანის წყალობით ყოველივე ნაკლულევანება ძველის მანქანისა აცდენილია. ნაკლულევანება-კი ძველ მანქანას ძალიან ბევრი აქვს. უპირველეს ყოვლისა ლაპარაკი კარგად არ ისმის, კაცმა მეტად გულ-დასმით უნდა დაუგდოს ყური, რომ ლაპარაკი გაიგონოს. ახალის მანქანით-კი არამც-თუ კარგად ისმის, არამედ ჩვეულებრივი ლაპარაკი შეიძლება მეორე სადგურზედ, სადაც მსმენელია, ყვირილად იქმნას გარდაქცეული. ამ სადგურზედ მანქანასთან დგომა არც-კია საჭირო, ლაპარაკი ისე შორს ისმის. პარიჟში მანქანის გამოცდის დროს ბაღში აქა-იქ გაფანტული ხალხი მშვენივრად ისმენდა ტენორის სიმღერას ოპერიდგან და მანქანის გამომგონის სიტყვას, წარმოთქმულს 150 მეტრის მოშორებით ჩაკეტილ ოთახში. ჟერმენის მიერ გამოგონილ მანქანის წყალობით შესაძლებელი ხდება შორს მანძილზედ ლაპარაკი, მაგალითად, პეტერბურგსა და ჩიკაგოს შუა. პეტერბურგში ან ტფილისში მყოფს შეუძლიან თავისუფლად მოისმინოს ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესის კრება, ისე რომ ყური არც კი მიადოს მანქანას. ამას გარდა მიმავალ მატარებლიდგან კონდუქტორს შეუძლიან ყველა სადგურის უფროსს დაელაპარაკოს. ამ ტელეფონს აგრეთვე ადვილად შეუძლიან სტენოგრაფის მაგიერობაც გასწიოს, მხოლოდ საჭიროა ეს უკანასკნელი შეუერთდეს. ყველა ამის შემდეგ არავინ საკვირვლად არ მიიჩნევს საფრანგეთის მთავრობის გარდაწყვეტილებას, რომ ძველი სატელეფონო მანქანები ახალის ჟერმენის მიერ გამოგონილის მანქანებით შესცვალოს. პიერ ჟერმენი დაიბადა 1850 წელს მირფლერში. ახალგაზდობისას ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში მსახურებდა. დღეს ამ უწყების ერთის ნაწილის ინსპექტორია და სცხოვრობს პარიჟში.

* * *

ამას წინად ამერიკის ქალაქ ჩიკაგოში გარდაიცვალა მილიონერი მარკერ მეზენი. როგორც ერთი გაზეთი იუწყება, მეზენმა სიკვდილის წინადვე თადარიგი დაიჭირა და ყოველივე განკარგულება მოახდინა თავისის დასაფლავების წეს-რიგის შესახებ. მილიონერს დაუბარებია მღვდელი, საეკლესიო ხოროს ლოტბარი და სამარხ ბიუროს გამგე. მღვდელთან პირობა შეუკრავს სიტყვის შინაარსის, ლოტბართან საგალობლების, ხოლო ბიუროს გამგესთან დასაფლავების წეს რიგის შესახებ და დასასრულ უთხოვნია, ხვალ კიდევ შემოიარეთ მთავარ რეპეტიციის მოსახდენადაო. მეორე დღეს სამნივე გამოცხადებულან. მღვდელს წარმოუთქვამს თავისი სიტყვა, მეზენს მოსწონებია, მაგრამ ზოგიერთი ადგილები მაინც შეუსწორებია და ხელ-ახლა წარმოუთქმევინებია. მერე ხოროს შეუსრულებია ფსალმუნები. აქაც მეზენს თავისი შენიშვნები წარმოუთქვამს. შემდეგ გაუშინჯნია და შეუსწორებია ბიუროს გამგის მიერ წარდგენილი გეგმები და სურათები. დასასრულ ყველასთვის სასყიდელი მიუცია და გაუსტუმრებია. მეორე დღეს მილიონერი წყნარად და მშვიდად გარდაცვლილა.

* * *

სწორედ ამ ერთის წლის წინად ქ-ნი ვაიტნეი, მეუღლე ცნობილის ამერიკელის მილიონერისა, ცხენიდგან გადმოვარდა და ისე ძლიერ დაშავდა, რომ სიარული ველარ შესძლო. ქმარმა მაშინვე განკარგულება მოახდინა, რომ განსაკუთრებული საწოლი ვაგონი გაეკეთებინათ ავადმყოფის გადასატანად. ვაგონი რამდენსამე დღეში გააკეთეს, დაჯდა 300,000 მანეთი. ავადმყოფი ვერც-კი გრძნობდა, ვაგონში იწვა თუ ოთახში, ისე შეუნძრევლად მიდიოდა იგი. შემდეგ თავისი მშვენიერი სასახლე გადააკეთა იმ გვარად, რომ სურვილისამებრ შეიძლებოდა იმ ოთახის წინა კედლის თვალ-დახამხამებაზედ აწევა, დაწევა და გადადგმა, რომელშიაც ავადმყოფი იწვა. კედლის წინ ვაიტნეიმ გაამართვინა მშვენიერი ბაღჩა და მოედანი, სადაც იმართება ყოველდღე, ავადმყოფის სურვილისამებრ, ათას გვარი თამაშობა და გართობა. ასე გასინჯეთ მოედანზედ დოღიც-კი იმართებოდა თურმე. როგორც გაზეთი „Wesser Zeitung“-ი იუწყება, იქ, სხვათა შორის, ამას წინადაც გაუმართავთ დოღი, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია ქ-ნ ვაიტნეის საყვარელ ცხენს. ეს ცხენი გამარჯვებული გარბოდა ყველაზედ წინ, მაგრამ უკანასკნელ ჟამს მოულოდნელად დასუსტებულა და დაცემულა, იმავე წუთს მილიონერის მეუღლესაც განუტევებია სული—საშინელმა აღელვებამ ავადმყოფი წუთი-სოფელს გამოასალმა თურმე.

## ხალხური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი ს. ბაზალეთში დ. ა. მოლოდინაშვილის მიერ)

### გოშპარ კობიევი.

ანანურით გადმოვცვივდით
ჩვენ ტუსაღნი ოთხნი ძმანი,
არა გვყვანდა წინამძღოლი,
არც ერთგული შინა ყმანი.
ციხეზედ რომ გადმოვცვივდით,
საქმე ვქენით ჩასაგვარი:
დავაგდევით ანანური,
ციხეები, კლდის უბანი.
მაღლიდგან რომ გადმოვცვივდით,
ძირს სავსე იყო ქვებითა,
ერთმანეთს ვეუბნებოდით:
— აქ რაღად ვიხოცებითა!?
აგვიტყდა გულის წუხილი
მუხლებითა და მხრებითა,
გარს ჯარი შემოგვეხვია
„დრაგუნის ზარბაზნებითა.“
ღამე მოპარვა გაჰბედეს.
წაყვანა მარხილებითა.
გათენების ჟამს ცოტა რამ
სიტყვა ვთქვით დაღონებული,
— მოვიდეს ჩვენი პატრონი,
ბოროტით გამწარებული,
წაგვიღონ და იქ დაგვმარხონ,
სად მამა იყო დებული!
არაგვს გაღმა რომ გავცვივდით,
იქ მოვიბრუნეთ გულები,
„კამენდანტი“ სანთლით გვეძებს:
— აქ თუა დამალულები!
გვეძება და ვერ გვიპოვნა,
ჯავრით უსკდებათ გულები.
გალავნის ძირზედ მივიდა,
ნაფრინავი ჩვენი ნახა,
უამა გუნებაშია,
ქუდები რომ დაინახა.
დაუძახა სალდათებსა:
— აქ არიან! დაიძახა.
მივიდა და აღარ დავხვდით,
მათი სახე შეიქმახა.
წისქვილში სიმამრთან მიდის,
იქნება იმანა ნახა!
სიმამრის კარზედ მივიდა
დაღონებულის გულითა.
— ვინც იმათ ხელში ჩამიგდებს,
ჩოხას უყიდი ფულითა,
აფიცრობასაც უშოვნი,
ქვეყანას ვასმენ ყურითა;
ნიადაგ დღეს არ მოვაკლებ
„შამპანსკის“ ღვინოს კულითა!
ამასა სჩივის გოშპარი,
იფიქრა თავის გულითა:
— ჩვენ ეს გვიკვირს, რად უნდოდით,
არ ვიცოდით ხელოსნობა,
არც მიწის თხრა, თოფრით ზი..ვა,
ოქროს ყიდვა, ზარაფობა!
ჩვენ ვიცოდით ჩაის დუღვა,
ფინჯნის რეცხვა, ყავაჩობა!...

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა იაკობ დაჭრილისა“. ეს წიგნაკი მეორედ არის გამოცემული, მორჩილის რაჟდენ ბარამიძის მიერ, ღირს ერთი შაური.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ივნისი

**პეტერბურგი.** შავის ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ არავიაში ქალაქ მასკატში შავი ჭირი გაჩნდაო.

**ბრიუსელი.** საღამოთი რამდენჯერმე ყრილობა მოახდინეს პროტესტის გამოსაცხადებლად ამომრჩევლობის კანონის წინააღმდეგ, რომლის შესახებაც ორატორებმა სთქვეს, რომ იგი საზიზღარია და კონსტიტუციის დამარღვეველიო. იმედი გვაქვსო, სთქვეს, რომ თუ კანონი შეწყნარებულ იქმნა, მეფე არ დაამტკიცებსო.

**ბრიუსელი.** საღამოზედ 5000 კაცმა მანიფესტაცია მოახდინა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც სახელმწიფო დაწესებულებებია. საშინელი ყვირილი იყო. მაღაზიების და ფარნების შუშები ჩაამტვრიეს. ჟანდარმებს ქვები დაუშინეს. ამ უკანასკნელთ თავის მხრით თოფების სროლა დაიწყეს. ორი ჟანდარმი დაჭრილია. ამბობენ, დაჭრილი ბევრიაო. საღამოზედ ქალაქი დაწყნარდა.

**პეტერბურგი.** მრავალ ქალაქიდგან დეპეშა მოვიდა დიდის მთავრინას მარიამ ნიკოლოოზის ასულის დაბადების გამო სამადლობელ პარაკლისის გარდახდის შესახებ.

**პარიჟი.** გუშინ ელჩ ურუსოვთან იყვნენ ვალდეკ-რუსსო, გენერალი გალიფე და სხვა მინისტრები.

**ბახუმი.** გერნეში კიდევ მოვიდა ორი ბატალიონი ქვეითა ჯარისა და ცხენოსანთა ესკადრონი. გუშინ მოვიდა მე-39 მსროლელთა რაზმი. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. დღეს მიუნსტერიდგან მოვიდნენ 2 ბატალიონი და უფროსი გენერალი.

18 ივნისი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი. ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ღამე კარგად გაატარა. დილის ტემპერატურა—36,6 საღამოსი—37,0. პულსი წუთში 72—76—ჯერ უცემდა. უმაღლესად ახლად შობილი სრულებით კმაყოფილ მდგომარეობაშია.

**ვარშავა.** პოზნანიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ პრუსიის პოლონელთა უმთავრესმა გაზეთმა—„დნევ. პოზნანსკიმ“ ხელის მოწერა გამართა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოთო.

**სოფია.** საეროვნო კრებამ, 76 ხმის უმეტესობით 49 წინააღმდეგ, შეიწყნარა საფინანსო ხელშეკრულობანი.

**პეკინი.** რადგან არ მოხერხდა მისიონერის ფლემინჩის მთავარ მკვლელების დაჭერა, ბრიტანიის რწმუნებულმა ითხოვა, კუესტჩაუს გუბერნატორი სამსახურიდგან დაეთხოვათ. ეს მოთხოვნილება ორჯელ უარ ყოფილ იქმნა ცუნგ-ლი-იამენის მიერ.

**ბრიუსელი.** პალატა. გუშინდელ შემთხვევების შესახებ შეკითხვის გამო სოციალისტებმა ისეთი უწესოება მოახდინეს, რომ პრეზიდენტი იძულებული გახდა კრება შეეჩერებია. მაშინ სოციალისტი დეპუტატები გასასვლელ კარებისაკენ გაეშურნენ, სადაც ხალხის გროვამ ავაცია გაუმართა მათ. პოლიციამ და ჟამდარმებმა ხალხის გაფანტვა მოინდომეს, რომელიც ჰყვიროდა; იქა-აქ სტვენა გაისმოდა. ჟანდარმებსა და ბრბოს შორის შეტაკება მოხდა. ჟანდარმები ის-ის იყო ამოღებულ ხმლებით უნდა გადარეოდნენ ბრბოს მაგრამ აფიცრებმა აღარ გაუშვეს. კრების განახლების შემდეგ, სოციალისტები სჩიოდნენ ქუჩაში მომხდარ სცენების შესახებ. კრების შეწყვეტის დროს სოციალისტი კოვრო მაღლა აწეულის მუშტით კიდევაც ეტაკა მინისტრ-პრეზიდენტს და შესძახა: „შე არამზადავო!“ საშინელი ხმაურობა ასტყდა. კრება დაიხურა სოციალისტების სიმღერასა და სტვენაში.

## ანგარიში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ 16 და 17 მაისს ამ წლისა მუშტაიდში გამართულის სახალხო სეირნობისა და ბაზრობის შემოსავალ-გასავლისა:

შემოვიდა: შესავლის ბილეთების გაყიდვით 713 მ. 80 კ., ნივთების გაყიდვით 1536 მ. 34 კ., კონფეტის, სათამაშოების და ფონოგრაფის შემოსავალი 131 მ. 85 კ. და შემოწირულობანი 185 მ., სულ 2566 მ. 99 კ.

დაიხარჯა: ნივთების შეძენისა და დამზადებისათვის 672 მ. 94 კ., მუსიკის ორს ხოროს 85 მ., ზურნისა 10 მ., განათებისა 55 მ., განცხადებისა და აფიშებისა 44 მ. 25 კ., ფონოგრაფისა და სათამაშოებისა 19 მ., მარკებისა 60 მ., თაიგულებისა 10 მ., ბაღის ქირა მოიჯარადრეს 100 მ., კარვებისა, ჭურჭლისა და სხვა ნივთების ქირა 23 მ. 50 კ. და სხვა ხარჯი 77 მ. 78 კ., სულ 1157 მ. 47 კ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 1409 მ. 52 კ.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა მოვალედა სთვლის თავის თავს გამოუცხადოს უღრმესი მადლობა ყველას, ვინც დახმარება აღმოუჩინა სეირნობისა და ბაზრობის გამართვაში ნივთებისა და ფულის შემოწირვით, გაზეთებში უფასოდ განცხადებათა დაბეჭდვით და პირადის შრომით.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ მ. ე. ხელაძეს, რომელმაც დაუკვეთა აცანის უფასო სამკითხველოს გასულ წელში გაზ. „ცნობის ფურცელი“ და ლ. თათეიშვილს, რომელმაც შემოსწირა ამავე სამკითხველოს თავისი თხზულება „სიყვარული“, ღირებული ერთ მანეთად.

ერთი დამაარსებელ წევრთაგანი არონ ჩხაიძე

# განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი
**ა. ს. პუშკინისა**
ფასი 50 კაპ.